ჩვენი მოძღვარი

მთავარანგელოზთა დღესასწაული ახლოვდებოდა. სარეცელზე მიჯაჭვულმა მამა შალვამ მორიდებით მოითხოვა, შეეწუხებინათ მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი იობი, რათა მისთვის სულის გასვლის ლოცვები წაეკითხა. 20 ნოემბერს მეუფე იობი ჩამობრძანდა სართიჭალაში და ავადმყოფობისაგან დაუძლურებულ მამაოს ლოცვები წაუკითხა. შემდეგ ექიმის დანიშნული ყველა წამალი და წვეთოვანი მოუხსნა, ოჯახის წევრებს კელაპტარი გადასცა და უთხრა: ,,დაანთეთ და ილოცეთ...”



... წუთები აკლდა მთავარანგელოზთა დღესასწაულის დადგომას...

... კელაპტარი ჩაიწვა...

... მამა შალვა დამშვიდდა...

ყველას ეგონა, სააქაოს მობრუნდებაო, მაგრამ... მთავარანგელოზთა დღესასწაულის დაწყების წინ უფალს სული მიაბარა სართიჭალის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა მამა შალვამ, რომელმაც სამღვდელო მოღვაწეობა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ასევე მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრიდან დაიწყო, რომელიც წილკნისა და დუშეთის ეპარქიაში, სოფელ მჭადიჯვარში მდებარეობს...

... მისი სული ანგელოზებმა ჩაიბარეს...

2007 წლის 28 მაისს მამა შალვას მიწიერი ცხოვრების 70-ე წელი შეუსრულდებოდა. ჩვენს საქრისტიანოს კიდევ ერთი მადლმოსილი მოძღვარი გამოაკლდა, ხოლო ქართულ მწერლობას – პოეტი, რომელსაც საზოგადოება შალვა გოლისელის (იგი დაიბადა ხარაგაულის რაიონის სოფ. გოლისში) სახელით იცნობს. მის კალამს ეკუთვნის ბრწყინვალე პოემა ,,დავით აღმაშენებელი”, რომელიც ქრისტეს სიყვარულით არის გაჟღენთილი და წარმოადგენს არა მარტო შესანიშნავ ნაწარმოებს, არამედ სახელმძღვანელოს მომავალი თაობის აღსაზრდელად. მამა შალვაზე რომ ღვთიური მადლი იყო გადმოსული, იქიდანაც ჩანს, რომ ასეთი დიდი პოემის დაწერა ადამიანურ შესაძლებლობებს სცილდება და მის შექმნაში უფლის ხელი ურევია.

დეკანოზი და პოეტი უდიდესი მლოცველი გახლდათ. ამის ნათელი დადასტურებაა მისი სულიერი მოძღვრის, მთავარეპისკოპოს ზოსიმეს სიტყვები: ,,იშვიათია ასეთი მამაო, რომ

ღამით დგებოდეს, მიდიოდეს ტაძარში და გალობას იწყებდეს.” მამა შალვა ყოველ ღამე სამიდან ხუთ საათამდე პარაკლისებს კითხულობდა სამშობლოს, სარწმუნოებისა და ერის გადარჩენისათვის. დღე და ღამეს ლოცვაში ატარებდა. თავის მცირე შემოსავალს



შემოწირულობებთან ერთად ეკლესიების მშენებლობას და წიგნების გამოცემას ახმარდა. მან ააშენა სართიჭალის სამების წმიდა გიორგის და მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიები, საფუძველი ჩაუყარა წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მშენებლობას. მდიდარი არასოდეს ყოფილა. იგი ეკლესიას ამდიდრებდა მორწმუნეებით, ხოლო მათ - ღვთის სიტყვით. მადლიერი მრევლი მხურვალედ ლოცულობს მამა შალვას სულის ცხონებისათვის. ,,გულითა მართალთა უყვარს სარწმუნოებაი, ხოლო პირმან უღმრთოთამან მოიღოს ბოროტი. შეწყნარებულ უფლისა მიერ გზანი კაცთა მართალთანი და მათ მიერ მტერნიცა მოყუარე იქმნებიან” (იგავნი 15,28).

იოსებ სიბოშვილი

მამა იოსები: ,,მე და მამა შალვა თავიდან ერთად მივედით ტაძარში და 6 წელიწადი ერთად ვიყავით. დიდი მლოცველი იყო მამაო, ლოცვა არასდროს ეზარებოდა. თუ ცუდ სიზმარს ნახავდი, პარაკლისს წაგიკითხავდა, დიდ პარაკლისს. სახლამდე გამოგყვებოდა, ოღონდ ეკლესიაში მიეყვანე.”

გიორგი წიკლაური: ,,მოძღვარი დამაკლდა... რადგან ტაძარში სწორედ მან მომიყვანა და ამადგმევინა ფეხი. მადლიანი დალოცვა იცოდა... ასე ძალიან არავის ვყვარებივარ...”



მალხაზ კოტორაშვილი: ,,მართალია, მამაოს საუბრები ძალიან დაგვაკლდა, მაგრამ მის სულიერ თანადგომასა და შეწევნას მუდამ ვგრძნობთ".

მევლუდ კოპაძე: ,,მამაო ხვდებოდა ადამიანის გულისნადებს, როდესაც ავადმყოფი დედის, საზიარებლად სახლში მივიყვანე, დიდი სურვილი გამიჩნდა, მამაც ეზიარებინა, მაგრამ ვერ შევბედე. მომიტრიალდა და მითხრა, გადი ოთახიდან, მამაშენიც უნდა ვაზიაროო. უთქმელად მიმიხვდა გულისნადებს... მამაოს კარგი იუმორის გრძნობა ჰქონდა, ტრაპეზზე ხშირად გვერთვებოდა იუმორში, რაც ჩვენს შორის არსებულ ასაკობრივ ბარიერს შლიდა."

მიხეილ (მიშა) კურტანიძე: ,,ჯერ კიდევ 90-იან წლებში, როდესაც იეღოველები შემოესივნენ სოფელს, მამაოს ქადაგებებმა ბევრი ადამიანი მოაქცია მართლმადიდებლობისკენ. სხვადასხვა უბანში დადიოდა და ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე ქადაგებდა ხალხში."

სერგო რთველაძე: ,,სიკეთის მეტი არაფერი მახსოვს მამაოსგან. მთავარანგელოზების ტაძარს რომ ვაშენებდით, 70 წელს მიღწეული მამაო ზემოთ, გუმბათზე ადიოდა და იქ მუშაობდა. საოცარი მადლის მატარებელი იყო."

იური მიხაილოვი: ,,მამაომ ღმერთი შემაყვარა. რომ შემოვდივარ ეკლესიის ეზოში, ჯერ მამაოს საფლავზე მივდივარ, მერე ეკლესიაში შევდივარ. მარტო აქ კი არა, იქიდანაც მეხმარება, რასაც ვთხოვ, მისრულებს..."

შერმადინ კოპაძე: ,,ძალიან თბილი დალოცვა ჰქონდა, ყოველთვის ვგრძნობდი მის სიყვარულს ჩემდამი, რაც უდიდეს ძალას მმატებდა, ტაძარში რომ მევლო.”

ზურაბ ჩოქური: ,,მამაომ ბევრ რამეზე დამაფიქრა... გზა გამიკვალა ცხოვრებაში.”

ციალა იოსავა: ,,მამაოს ძალიან უყვარდა გაჭირვებულების დახმარება. ეკლესიაში უამრავი გაჭირვებული მოდიოდა და ისიც ცდილობდა, რითიც შეეძლო, დახმარებოდა მათ.”



თამარ ჩაჩანიძე: ,,ჩემი პირველი მოძღვარი იყო, არა მგონია ოდესმე ასეთი სიახლოვე რომელიმე მოძღვართან მქონდეს. სწორედ მამაომ გამაბედინა პირველად აღსარების თქმა და მასთან ისე ვსაუბრობდი, როგორც მარტო დარჩენილი - უფალთან. მშვიდი კაცი იყო და მისი გამოხედვა მიყვარდა, მისი კეთილი თვალები. მისი მადლი დამაკლდა.”

ანა მესხორაძე: ,,ყველაზე მთავარი რაც არის, მან პირველმა დამაფიქრა ჩემს ცოდვებზე და სინანული მაგრძნობინა. მონატრებით კი მისი პარაკლისები და ღამისთევები მომენატრება.”

ია ჩეკურაშვილი: ,,მისი ლოცვა მენატრება, მის ლოცვას განსაკუთრებული და დიდი მადლი ჰქონდა.”

ნინო სარჯველაძე: ,,მე მამაო დამაკლდა - როგორც ადამიანი, როგორც ახლობელი. ის მხოლოდ მამაო არ იყო ჩემთვის, იგი ჩემი ოჯახის წევრი, ჩემი გულშემატკივარი იყო.”

ხათუნა შუბითიძე: ,,გაუცნობიერებლად წახვედი ჩვენგან, გონზე მოსვლაც კი ვერ მოვასწარით... ძალიან ენატრები ყველას. თვალცრემლიანები იგონებენ ყოველ შენს სიტყვას, შენს დარიგებას, თუნდაც გაბრაზებას, რომელსაც მამაშვილური მოფერება ახლდა თან. დაღონებულები იყურებიან საკურთხევლისკენ და შენი მოღუღუნე ხმის გაგონებას ელიან. უჭირთ, მამაო, უშენობა, ენატრები შენს სულიერ შვილებს, უჭირთ შენს შვილებსა და შვილიშვილებს, შენს პატარა ბაჭიას (თათას), უშენოდ ერთი დღეც ვერ ძლებდა, რომ არ ენახე და არ მოგფერებოდა. ნუგეშად შენი მარადიული განსასვენებელია, რომელსაც დაღონებულები შევცქერით და ვეფერებით.”

მამა შალვას

თეთრი თმა-წვერით დამშვენებული
ნელი ნაბიჯით მიდიხარ გზაზე,
მშვიდი ღიმილით ლოცავ გამვლელებს
და აღარ ფიქრობ საკუთარ დარდზე.
შენი ფიქრია მხოლოდ ღმერთკაცი
დიდი ხნის წინათ დაკლული ჯვარზე,

ჯვარზე, რომელიც თვითონვე აგაქვს
საკუთარ მხრებით გოლგოთის მთაზე.
საკურთხეველში ხელაპყრობილი
უფალს ავედრებ ცოდვილთა სულებს
თავს ანგელოსნი დაგფარფატებენ
შუბლზე გადებენ ტფილ ხელისგულებს.
ლოცავ ქვეყანას, ლოცავ მოსავალს
ლოცვამ გაჟღინთა ტაძრის კედლები,
თითქოს ზეციდან გვაწვიმს მანანა,
მაძღარ სულებით უფალს ვნებდებით.
ლოცვით დაღლილი და დაქანცული
ბრუნდები სახლში, სადაც...
სიმდიდრეს აქვს ჩალის ფასი.
რადგან ამ სახლში ფიქრობენ კაცზე,
ღმერთზე, რომელიც გააკრეს ჯვარზე
დიდი ხნის წინათ გოლგოთის მთაზე!

ნინო სარჯველაძე
2004, აპნისი